

შპს „კახური“

ს/კ 231244230

**ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი		
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	952368	593010	800617
სავაჭრო მოთხოვნები	101408	259345	241804
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2563	25720	6707
მარაგები	3503867	3474528	2726926
მ.შ. - მზა პროდუქცია	801971	86537	297521
- სხვა მარაგი	2701896	3387991	2429405
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	2039	157359	70859
ბიოლოგიური აქტივები	50	50	50
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	50	50	50
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	24083	29798	34503
ძირითადი საშუალებები	878117	961050	592829
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	5464495	5500860	4474295
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	43611	143575	130670
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2966	3192	970
საგადასახადო ვალდებულებები	15172	51625	57201
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	1031238	84695	856975
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	49685	36789	37682
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	107398	163927	201608
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	1250070	483803	1285106
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	497816	497816	497816
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3716609	4519241	2691373
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი			
სულ საკუთარი კაპიტალი	4214425	5017057	3189189
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5464495	5500860	4474295

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____ გ. მარკოზაშვილი

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	6086667	11141545	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	6031998	11092402	
- მომსახურების გაწევიდან	54669	32286	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		16857	
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3111566	-6073618	3.7
საერთო მოგება	2975101	5067927	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	795		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-397500	-340741	
ცვეთა და ამორტიზაცია	-55654	-135905	
საპროცენტო შემოსავალი		6	
საპროცენტო ხარჯი	-23081	-28138	
იჯარის ხარჯი	-1200	-1200	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-324717	-326367	
სულ საოპერაციო ხარჯები	-801357	-832345	
საოპერაციო მოგება	2173744	4235582	3.8
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	101145	93710	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	11792	23497	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	2286681	4352789	
მოგების გადასახადის ხარჯი	-459061	-389573	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1827620	3963216	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			3.9
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1827620	3963216	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5017057	3209822	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2601343	-2155981	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-28909		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4214425	5017057	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____ გ. მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "კახური"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2826343	2272263
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-19902	-488420
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-2537989	-2090133
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	268452	-306290
სავალუტო კურსის ეფექტი	90906	98683
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	593010	800617
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	952368	593010

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები: _____ გ. მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კახური“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2001 წლის 20 მარტს თელავის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 231244230, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი, N 1. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები: ზურაბ გოლეთიანი (პ.ნ. 20001000086) - 33,3%, დავით დოლმაზაშვილი (პ.ნ. 01001002469) - 33,3%, გიორგი მარკოზაშვილი (პ.ნ. 20001005266) - 33,4%. სამივე მათგანი იმავდროულად წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნის გადამუშავებით ნატურალური ღვინის წარმოება და რეალიზაცია. სხვა ეკონომიკური საქმიანობაა - არყის (ჭაჭის) წარმოება.

1.4. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური

მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	200	3153
ლარი საბანკო ანგარიშებზე	491	1792
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	939443	587881
ევროები საბანკო ანგარიშებზე	12033	20.00
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	201	164
სულ:	952368	593010

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	3745	3855
ნედლეული და მასალები	2619640	3330358
მზა პროდუქცია	801971	86537
საწვავ საპოხი მასალები	3703	2356
სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	74808	51422
სულ:	3503867	3474528

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინასწარ გადახდილ გადასახადს

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი ანგარიშსწორებანი საპენსიო სააგენტოსთან	2039	1475
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები, (ბიუჯეტში)	0	155884
სულ:	2039	157359

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2019 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთი ს/კოდი 53.20.33.191 ყოფ. 53.17.144.028 (1200 მ2)	5780	0		5780	2630		3150
ნაყოფის მომცემი კულტურები	8332		297	8629		0	8629
დასამონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	1748	-171365	0	173113	139517	0	33596
მიმოსვლის გზები	7525		429	7954		429	8383
შენობები	154591	28564	10744	136771		10173	146944
ნაგებობები	7489		470	7959	1779	470	6650
მანქანა-დანადგარები	432220	11575	75077	495722	294120	74605	276207
ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	4687		1784	6471		1799	8270
ელექტროგადაცემის საშუალებები	3871		1080	4951		1081	6032
მილსადენები	0			0			0
კონსტრუქციები	2668	281	377	2764		360	3124
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	11911	576	3298	14633	15912	1279	0
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	19542	18368	5927	7101	4488	2699	5312
ელექტრონული მოწყობილობები (გარდა კომპიუტერული ტექნიკისა)	0		0	0	0	247	247
ავეჯი	0	0		0	0	299	299
ინვენტარი	17733	11178	5363	11918	5243	4715	11390
სპეციალური ინსტრუმენტები	0			0			0
მსუბუქი ავტომობილები	25547	0	10687	36234	23500	8879	21613
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	9130		5478	14608		5478	20086
სხვა ავტოსატრანსპორტი	1125	-4166	4167	9458		3500	12958
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	159795	158525	8967	10237	10411	174	0
მცირეფასიანი ძირითადი	4423	7572	9895	6746	4696	17889	19939
სულ:	878117	61108	144040	961050	502296	134075	592829

3.5. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები.

ეს მუხლი მოიცავს რეზიდენტი ბანკისგან აღებულ სესხს.

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი რეზიდენტი ბანკიდან 2020წ.	49685	36789
სულ:	49685	36789

3.5. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

31.12.2020 წ. მდგომარეობით კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი 107398 ლარი ადგილობრივი ბანკიდან.

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019-2020 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა ყურძნის გადამუშავებით მიღებული ღვინისა და არყის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან, ასევე, ღვინის ჩამოსხმის მომსახურებისგან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2020 წელი
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-26338
მასალების დანახარჯები	-11814
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი	-4007
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	-10011
მიწოდების ხარჯი	-19639
კომუნალური გადასახადები (ელექტრ. ენერგ. წყალი, გაზი, დასუფთავება)	-18420
საკომუნიკაციო ხარჯი	-8101
დაზღვევა	-7174
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	-35824
საექვო ვალების ხარჯები	-75765
საბანკო ხარჯი	-6796
საბანკო ხარჯი კონვერტაციიდან	-14735
საწვავის ხარჯი	-29251
მწვანე ნარგავებზე და ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი	-1718
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-38003
საგადასახადო ხარჯი	-17121
სულ:	-324717

3.8. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები

	2020 წელი
შემოსავალი ღვინ/ სააგენტოს მიერ სესხის თანადაფინანსება	20348
მ/საშ ჩამოწერის შედეგად მიღებული სასარგებლო ნარჩენი	475
კოვიდთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი	15249
არასაოპერაციო ზარალი მ/საშ არა.მატერ.აქტ.რეალიზაციიდან	-3595
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-475
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-20210
სულ	11792

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	497816	497816
გაუნაწილებელი მოგება	3716609	4519241
სულ:	4214425	5017057

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2020 წლის მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2020 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია შიდა ბაზარზე შემოსავლების შემცირება, მაგრამ ამის მიუხედავად, კომპანიას არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 25 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	952368	593010	800617	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	101408	259345	241804	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2563	25720	6707	
მარაგები	3503867	3474528	2726926	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	801971	86537	297521	
- სხვა მარაგი	2701896	3387991	2429405	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	2039	157359	70859	3.3
ბიოლოგიური აქტივები	50	50	50	
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	50	50	50	
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	24083	29798	34503	
ძირითადი საშუალებები	878117	961050	592829	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	5464495	5500860	4474295	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	43611	143575	130670	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2966	3192	970	
საგადასახადო ვალდებულებები	15172	51625	57201	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	1031238	84695	856975	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	49685	36789	37682	3.5
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	107398	163927	201608	3.5
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	1250070	483803	1285106	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	497816	497816	497816	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3716609	4519241	2691373	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	4214425	5017057	3189189	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5464495	5500860	4474295	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები:  გ. მარგოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "კახური"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	6086667	11141545	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	6031998	11092402	
- მომსახურების გაწევიდან	54669	32286	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები		16857	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3111566	-6073618	
საერთო მოგება	2975101	5067927	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	795		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-397500	-340741	
ცვთა და ამორტიზაცია	-55654	-135905	
საპროცენტო შემოსავალი		6	
საპროცენტო ხარჯი	-23081	-28138	
იჯარის ხარჯი	-1200	-1200	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-324717	-326367	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-801357	-832345	
საოპერაციო მოგება	2173744	4235582	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	101145	93710	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	11792	23497	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	2286681	4352789	
მოგების გადასახადის ხარჯი	-459061	-389573	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1827620	3963216	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1827620	3963216	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5017057	3209822	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2601343	-2155981	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-28909		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4214425	5017057	3.9

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები:



გ. მარკოზაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "კახური"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2826343	2272263
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-19902	-488420
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-2537989	-2090133
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	268452	-306290
სავალუტო კურსის ეფექტი	90906	98683
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	593010	800617
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	952368	593010

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2021 წ.

დირექტორები:



გ. მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

